

1. ორგანოებსა და ქსოვილებს, რომლებიც შეიცავენ მუსკარინულ ქოლინორეცეპტორებს მიეკუთვნება:

- ა) ლიმფური კვანძები;
- ბ) ღვიძლი;
- გ) ბრონქები;
- დ) ფარისებრი ჯირკვალი;
- ე) ფილტვები.

2. იმუნურ პასუხში მაკროფაგის როლია:

- ა) ანტისხეულების წარმოქმნა;
- ბ) ვირუსინფიცირებული სამიზნე უჯრედების ლიზისი;
- გ) ციტოტოქსიკური "T" უჯრედების სუპრესია;
- დ) ანტიგენის დამუშავება და ანტისხეულებისათვის წარდგენა.

3. ჩამოთვლილი ალერგენებიდან ატოპიური ასთმის ყველაზე ხშირი მიზეზია:

- ა) ოთახის მტვრის ტკიპები;
- ბ) ობის სოკოს სპორები;
- გ) ბაქტერიები;
- დ) ჰელმინთები.

4. პოხიერი უჯრედების გამააქტივებელ "IgE"-დამოკიდებულ ნივთიერებებს მიეკუთვნება:

- ა) მიორელაქსანტები;
- ბ) ოპიოიდები;
- გ) სრულფასოვანი ანტიგენები;
- დ) რენტგენსაკონტრასტო ნივთიერებები;
- ე) ნეიროპეპტიდები.

5. ლორწოვანის სეკრეცია მატულობს შემდეგი ნივთიერებების მოქმედებისას:

- ა) თრომბოქსანების;
- გ) პეროქსიდაზების;
- დ) ჰისტამინის;
- ე) ბრადიკინინის.

6. მიუთითეთ, ალერგიული რეაქციების რომელი ტიპით მიმდინარეობს კონტაქტური ალერგიული დერმატიტი:

- ა) მესამე - იმუნოკმპლექსებით მიმდინარე ალერგიული რეაქცია;
- ბ) პირველი - რეაგინული ტიპის ალერგიული რეაქცია;
- გ) მეორე - ციტოტოქსიკური ტიპის ალერგიული რეაქცია;
- დ) მეოთხე - დაყოვნებული ტიპის ალერგიული რეაქცია.

7. ქვემოთ ჩამოთვლილი კლინიკური ფორმირებიდან ყველას პათოგენეზში წამყვანია რეაგინული მექანიზმი, გარდა:

- ა) შრატის დაავადებისა;
- ბ) პოლინოზისა;
- გ) ალერგიული ჭინჭრის ციებისა;
- დ) ატოპური ბრონქული ასთმისა.

8. დაუყოვნებელი ტიპის ალერგიებისას ნელა მოქმედ ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებას მიეკუთვნება:

- ა) აცეტილქოლინი;
- ბ) ჰისტამინი;
- გ) ლეიკოტრიენები;
- დ) სეროტონინი.

9. ატოპიური ბრონქული ასთმის მქონე პაციენტებისთვის დამახასიათებელია:

- ა) დადებითი კანის სინჯები ინფექციურ ალერგენებზე;
- ბ) ბებერის ტიპის კანის რეაქცია შენობისშიდა ალერგენებზე;
- გ) ინფილტრატის ტიპის კანის მოგვიანებითი რეაქცია;
- დ) ლიმფოციტების დადებითი ბლასტრანსფორმაციის რეაქცია.

10. რომელ მდგომარეობათა პათოგენებში არ თამაშობს ჰისტამინი გადამწყვეტ როლს:

- ა) ვიბრაციული ანგიონევროზული შეშუპება;
- ბ) დერმოგრაფიზმი;
- გ) ქოლინერგიული ურტიკარია;
- დ) მემკვიდრული ანგიონევროზული შეშუპება.

11. მიუთითეთ, ალერგიული რეაქციის რომელი ტიპით მიმდინარეობს ანაფილაქსიური შოკი:

- ა) პირველი ტიპის ალერგიული რეაქცია;
- ბ) მეორე - ციტოტოქსიკური ტიპის ალერგიული რეაქცია;
- გ) მესამე - იმუნოკომპლექსებით მიმდინარე ალერგიული რეაქცია;
- დ) მეოთხე - დაყოვნებული ტიპის ალერგიული რეაქცია.

12. ფსევდოალერგიული რეაქციებისათვის დამახასიათებელია ყველა ჩამოთვლილი, გარდა შემდეგისა:

- ა) ალერგენების რაოდენობა, რომლებიც იწვევს რეაქციას, შედარებით დიდია;
- ბ) უარყოფითია კანის სინჯები სპეციფიკურ ალერგენებზე;
- გ) დადებითია კანის სინჯები სპეციფიკურ ალერგენებზე;
- დ) თანმხლები ატოპიური დაავადებები იშვიათია.

13. "IgE" დონის ცვალებადობა გვხვდება:

- ა) ენდოგენური ფორმის ბრონქული ასთმის დროს;
- ბ) დიაბეტის დროს;
- გ) ფილტვის აბსცესის დროს;
- დ) ინფექციის დროს;
- ე) დი-ჯორჯის სინდრომის დროს.

14. კლინიკურ პრაქტიკაში კონტაქტური ალერგიის სადიაგნოსტიკო მეთოდია:

- ა) კანის ჩხვლეტი ( „პრიკ“ ) ტესტი;
- ბ) კანშიდა ტესტი;
- გ) ლეიკოციტების მიგრაციის დათრგუნვის რეაქცია;
- დ) აპლიკაციური ტესტი.

15. 13 წლის ბიჭს აქვს რინიტი და თვალების ქავილი ყოველი წლის ზაფხულის დასაწყისში. მცენარის ყვავილის მტვრის ალერგენით ჩატარებული კანის სინჯიდან 15 წუთში მას განუვითარდა ერითემა და 15 მმ-იანი ბებერა. აღნიშნული რეაქცია შედეგია:

- ა) კანის სისხლძარღვებში ანტიგენ-ანტისხეულის კომპლექსების ფორმირების;
- ბ) უცხო ცილების მოხვედრის საპასუხოდ ფაგოციტების მიგრაციის;
- გ) პოხიერი უჯრედებიდან ჰისტამინის გამოთავისუფლების;
- დ) სენსიბილიზებული ლიმფოციტების მიერ ლიმფოკინების გამოთავისუფლების;
- ე) პოხიერი უჯრედებიდან ლიმფოკინების გამოთავისუფლების.